

პვირა, 2 ოქტომბერი 1916 წ.

კავშირის აღმასმელი:
თფილისი, ფულას ქუჩა, № 6.



თბილისი

ფასი 15 კაპ.

ქვეყნის

იუმორისტ.
ჟურნალი

მათრასი

№ 40

სასურსათო საკითხი



საზეიმო ვამოსელი სასურსათო კომიტეტისა.

F644



არა შეჯდა...

ჩემი მარჯვენა ფეხის წალის თუ დახედავთ, დაკვირვებული თვალი მასზე (დაახლოებით ქვირტსა და ტერფს შუა) შეამჩნევს პატარა ტყავის ნაჭერს, (დღობას ტუზის მოყვანილობისას) შავის ძაფით დანაკერებს.

ვინ იფიქრებს, თუ აი, ამ პატარა ნაჭერს, ჩემი ფეხსაცმელის ზურგზე დანაკერებს, ასეთი მკიდრო კავშირი აქვს თანამედროვე მსოფლიო ომთან? და ეს რომ ასეა ახსნა ახლავ დაგიმტკიცებთ.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ომს უფრო ზერელე უყურებენ, ვინაიდან ცნობილია, რომ მკვლე ქართველი მოღვაწე „ცხვირის მალა იწვეს“ და აშკარაა ამ პირობებში მას გაუჭირდება საქმის კოჭებში ჩახედვა.

ის პატარა ტყავის ნაჭერი კი, რომლის შესახებაც მსურს მე დღეს მკითხველს ვესაუბრო; სწორეთ კოკის დასწვრივ არის დაკერებული ჩემი მარჯვენა ფეხის საცმელზე.

კარგათ მახსოვს, გასული ოთხშაბათი იყო, ნაშუადღევს 4 საათი, როცა მე და ქ-ნი ჯვალუ მუშტაილში ვიჯექით სკამზე. მე გაცხარებით ვლაპარაკობდი საბერძნეთის მეფის პოლიტიკაზე, რუმინის აწინდელ მდგომარეობაზე და საზოგადოთ ბალკანეთის ვითარების შესახებ. რაღაც ჩემდა საუბედუროთ კატა ვახსენე. ესთქვი: გერმანია, როგორც გამოცდილი კატა, ისე...

— თქვენ ჩემი ახალი კატა უნდა ნახოთ, — დინჯათ შემიშინა ქ-ნმა ჯვალუმ, — ციმბირისკის პაროდიამ, ნაცნობმა აფიცურმა მომიყვანა ტრაპეზუნთიდან. რაა იმასთან შედარებით გერმანიის კატა!..

სირცხვილისაგან დაიწვიე, ენა პირში გამოიშვს და, მთელი ჩემი პოლიტიკური ზედატაცება უცებ ჩაჰქრა და ჩვეულებრივის სიმორცხვით ჩაედუნე თავი, რა ვიცოდ, თუ იქ, დაბლა, ჩემი მარჯვენა ფეხი დამხედებოდა და განცდილ უხერხულობას გამიასკეცებდა?

გულმა მაშინვე იგრძნო რაღაც ენდობილი სიმწარე, როცა ფეხსაცმლის იმ ნაწილს, სადაც ახლა პატარა ტყავის ნაჭერი აკერია, თეთრი წერტილი შეენიშნე.

— ალბათ ფროსანმა მიფრქვია რამე და ეს ხომ ბედნიერების ნიშანი არის-მეთქი, — განვივლე გულში და ჯობის წვერით მოვისურვე თეთრი წერტილის გადაფხევა. ცდა ამო გამოდგა! რაც მეტი ვუყვირებოლე, წერტილი უფრო გაიზარდა. დასასრულ ჩემი ფეხი ერთ-ერთი თითიც გამოჩნდა. სანახაობა იმდენათ მოულოდნელი და უსიამოვნო იყო, რომ სრულიად გადამავიწყა ქ-ნი ჯვალუს სიახლოვე.

— ღმერთო ჩემო! რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე! ვინ იციღის ახლა ახალ ფეხსაცმელს, ლიზნობა კი უმუღლებელია, — ვეჭრობდი მე და სრულებით აღარ მესმოდა ჩემი მეზობლის ლაპარაკი ტრაპეზუნთიდან მოყვანილ „მუხთარკას“ შესახებ.

იმ საღამოს ჩვენი ჭუჭუკი უფერულათ გათავდა, ხოლო მეორე დღეს დილით მე უკვე ქუჩა-ქუჩა დავდიოდი ჩემი ფეხსაცმლით ხელში. ვის არ ვაჩვენე, რომელი მწველ არა ვნახე, მაგრამ მისი გეკეთება აზიან არ იქნისა.

— ეგ რაღაც მანეთ მახეგრის საქმეა, ახლა მაგისთვის ვინ მოსცდებაო — მითხრა ერთმა.

— ვინმე ფინანს მიუტანეთ, ჩვენ სამაგისოდრო არა გვაქვს — მიპასუხა მეორემ.

— ახლა ასეთ წერიმალ საქმეს მოხველე ვანა მოჰკიდებს ხელს? შემომიბღვრია მესამემ.

— რა დროს ხუმრობაა, ყმაწვილო, თქვენ თუ უსაქმო ხართ ჩვენ რას გვეპირობებით, რაზე გვაცდენთ! შემომიტია მეოთხემ და მთელი დღის წოწალის შემდეგ ჩემი გახერხტილი ფეხსაცმლით დაქანტული დაბერუნდი სახლში. მთელი დამე უსიამოვნო სიზმრებში ვავატარე. სიფხილემში სულ იმისა ვფიქრობდი, თუ როგორ გამოვსულიყავ ამ უხერხულ მდგომარეობიდან და მადლი ჯოჯოხეთს ცლამ ამოდ არ ჩამიარა.

გადავწყვიტე თითონვე დამეკრებია ფეხსაცმელი და ამგვართ უზომო ხარჯისგან გაენთავისფლებულიყავ ასეც მოვიქციე.

შაბათ დილით შევედექ საქირო მასალის დაგროვებას. ვიშოვე სადღისი, ორი ნჭი, (ერთი დანჯანგული) შავი ძაფი და პატარა ფაფლის სანთელი. დიდი შრომა დამქირდა, ვიღრე ტყავს ვიშოვიდი,

მაგრამ ყველაფერი ეს გამოუტყველებლბას მიეწერება. ერთბაშით ვინ იფიქრებდა, თუ ამისთვის ჩემი პოთფელის შიგნითა მხარის ოპერაცია იქნებოდა საჭირო. სამწუხაროთ, როცა პოთფელიდან ამოჭრილი ნაკვითი ფეხსაცმელს შევუღარე სულ სხვა ღირსებისა და შეუფერებელი ფერისა გამოდგა. ჯერი ჩემს შავ ტყავის ჩემოდანზე მიდგა, მაგრამ არც იმისი ჩამონაჭერი გამოდგა საფარგისი, ვინაიდან ტყავი მისი სქელი აღმოჩნდა.

არ ვიცი როგორ წავიდოდა საქმე, თუ საზამთროდ ნაყიდი ტყავის ხელთათმინისათვის უცაბედათ თვალი არ მომეკრა. ამოვეკერე საჭიროზე ცოტა მეტი ოთხკუთხი და დავიწყე ხელობა.

პირველხნობით ცოტა არ იყოს მეშინოდა: ვაი თუ ვერ დავსძლიო საქმეს მეთქი, მაგრამ მომაგონდა გამამხნევებელი ცნობები გახეთქიდან.

— ცნობილი ქართველი ფუტურისტები, ფილოსოფოსი ვრ. რომაქიძე და მგოსანი პ. იაშვილი სპარსეთის ფრანტზე ვირების ტრანსპორტს ხელმძღვანელობენო —

და იმედი მომეკა.

ორ საათსაც არ გაუვლია, რომ მე საქმეს თითქმის მოვრჩი და მაუხედავით ნემსისაგან დაჩხულებულ ხელის მწვავე ტყვილისა, სრულს ავტორულ თავმოყვარებას განვიტყლიდი და გულწრფელად ვხარობდი ჩემი ნამუშეირით, მაგრამ მხოლოდ ახლა, ამ გათავების დროს გამოირკვა ერთი უბრალო და თანაც უსიამოვნო ამბავი. მე წაღაზე მიმეყვრებია არა მარტო ტყავი ზემოთა მხრიდან, არამედ ჩემი პიჯკის მარცხენა სახელოც ფეხსაცმელის შიგნითა მხრიდან.

ახლა, იძულებული ვიყავ სახელოს ნაწილი მიმეკრა, რომ ტყავის აძრობა არ დამიკვირებოდა და ნამუშეირი წყალში არ ჩამეყარა, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ეგ საშუალება თურმე მიზანს ვერ მიმალწევინებდა. შიგ დარჩენილი სახელოს ნაჭერი ძლიერ სქელი გამოდგა, ძალუშათ დააწვა ფეხსა და იძულებული ვაშხადა სიმწრით დანაქერები ტყავის ნაჭერი ფრთხილად ამერღვია.

ავარღვიე კიდევაც და არა მარტო ერთხელ, მაგრამ ახლა, როცა საქმე დაგვირგვინებულა, განვლილ უსიამოვნებას ვინ და მოიგონებს. მეგობრები მიჩვენებენ:

— დაანებე თავი, ავტო ამერიკიდან გამოვიწეროთ ფეხსაცმელი და იაფად დავგიჯდებოა..

— ხომ იცი რუსეთში უკვე მასსკრებიც ქალაქებით დადიან და შენ რას ჩააცივდი მაგ ძველის ძველ წაღასო,

მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ სრულიადც ძველის-ძველი არ არის ჩემი ფეხსაცმელი. ორი კვირის წინათ ვიყიდე ჩემს კარგ ნაცნობ მაღაზიის პატრონთან და 28 მანეთი ფული მივეცე.

მე მხოლოდ მარცხენა ხელის სიმსივნე მაფიქრებს. ექიმმა მითხრა — ჯერ-ჯერობით ვერაფერს გეტყვი, შეიძლება სისხლი მოწამლული იყოს, თუ ნემსი ცოტა უანგვიანი იყოო.

უმჯაი.



პატარა ფელეტონი

პ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

(ვაიფის ხმაზე)

ბევრი ითქვა, დაიწერა თანაც საყვედური, მოახსენეს ჩვენს „ღლასნებსა“ გაგვიქედეს ყური, — რომ არ ცხვება აქ საქაოთ საარსებო პური;

ხალხი წვალობს და შიმშილობს, ხალხი უბედური..

ზოგი მდიდრებიც არიან მათი უმაღური, მაგრამ ბევრმა უწყალობა და დასცა დასტური:

— „ვაგონებს არ იძლევიან რა ჰქნას საბუკოაო,

ჯარის ზიდვას უნდებიან დიდი აქეთ შრომაო!

ჩვენ მივიღეთ რაც შეგვეძლო ყოველი ზომაო.

პური მინც ცოტა ცხვება,
არც ის იქომო.

რა უნდა ქნან? რა იღონონ?
არ ჩანს ხსნისა გზაო,

ასე ბჭობენ ზოგიერთნი
ადიდებენ ხმოსნებს,
მაგრამ უფრო მეტს შეხვდებით
მწვავე კრიტიკოსებს.

ისინი სულ სხვას ამბობენ
სხვა კილოზე სჯიან,
მათ კატუნი, შებრალება
არვის არ იციან!

დადიან და დლით, თუ ლამით
ასე გაჰკვივიან:

— „მამები“ რომ არ გვივარგან
ეს შევიტყუე გვიან!

თურმე თფილისისა ფქვილსა
სულ სხვაგან ჰყიდიან...

ჩვენ აქ უპუროთა ვრჩებით
კუჭი ხშება, გვიან,

ისინი-კი უღარდელათ
ქისებსაცა ზრდიან!..

ან რა უჭირს ვაბატონებს
მიმოდიან ხშირათ,

სანოვავის ფასს იტყობენ —
სად უფროა ძვირათ...

შემდეგ იქით მიაჩოჩებს
რალაც გასაკვირათ, —

მაშინ ვაგონებოც არის
მას სდარაჯობს გზირათ!..

ხანაც ჩამოტანილ ფქვილსა
ობი ეკიდება,

ვერ გდმოაქეთ თავის დროზე
უპატრონოთ ხდება!

„უვარგისი იგი ფქვილი“
მეტათ იყიდება!..

ხატისოვი ყოველ საქმეს
რა რიგით გასწვდება?!

ისიც ათვეს მთელ ლაშქარს
ხალხის ჯვარით დნება!..

მაგრამ როცა „დუმაშია“
„რჩიით“ არ იღლება,
ხოლო სახლში პურის ნაცვლათ
„პირაყეები“ ხვდება!..

ჩვენ რაღა ვქნათ, რა ვიღონოთ
პური რომ არ ცხვება?

შავი, ცომი პურის კამით
კუჭი გვიფუჭდება“?!

ასეთია ხალხის მსჯავრი
თავსა გეფიცებით

ალბათ, თქვენაც მოისმენდით
თუ ყურს ათხოვებდით.

რა უშველის ასეთ დრტიკვას
ან რა მოხერხებით

მოგსპოთ ხალხში კენესა-ურვას
ტანჯვას განვშორდებით?!

ვისაც კუჭი უთამაშობს
ვგონებ, დაფიქრდებით,

იმედია მიპასუხებთ —
ბევრს არ დაყოვნდებით.

ალბურონი.



გრამატიკა ცოლქმროვისა

(ლად. კოლომინისაგან ნათარგმნი)

ვისაც გულწრფელად სურს ცოლთან კეთილ-
განწყობილებაში იყოს, არ ისმენდეს მისგან ძღვნად
წვევლა-კრულვას, მწვავე სიღებს, ან სხვა და სხვა
დამამშვენებელ მეტ-სახელებს, მოისმინოს და დაი-
მასსოვროს შემდეგი:

ვიწყებ:

პირველ ყოვლისა, რომ თქვენს სახლში მუდ-

მივი ამბობებდა არ მეფობდეს, დეთანხმეთ მეუღლეს მაშინაც კი, როდესაც გეუბნებოდეს: პირველი ასო ანბანში არის „ო“ და არა „ა“, ან როცა გიპტიკიცებდეს: ახალგაზრდა და ლამაზი პეტრე პეტრეს ძე დიდ სამსახურს გაწვეს მით, რომ თქვენს მაგიერობას ეწვეა თქვენს ოჯახში, როდესაც თითონ კლუბში იმყოფებით.

არ გაგიწყრეთ ჯოჯობეთი და ვინმე სხვა ქალს თვლით არ მიამტეროთ. ადრეცებაში უნდა მოდიოდეთ მხოლოდ იმ ახალგაზრდით, რომელიც თქვენს დედოფალს მოსწონს.

ყოველ საღამოს კლუბში იარეთ, მხოლოდ არ დგავიწყდეთ ცოლს უთხარათ, რომ ღამის ორსამ საათამდე არ დაბრუნდებით.

სასერნოდ აირჩიეთ ისეთი ადგილი, სადაც შენს გარდა სხვებიც არიან მოსყიარენი, რადგან ისეთ ადგილას, სადაც ბნელა, სადაც მხოლოდ წყვილ-წყვილნი სერიანობენ, უთუოდ შეხედებით თქვენს დედოფალს და მაშინ სამართლიანად დამსახურებთ მის რისხვას.

არ აკოცო შენს ცოლს ხალხში, რადგან ეს მიღებულ არ არის. მაგრამ თუ სხვა ვინმემ აკოცოს, — ხმა არ ამოიღო.

უთუოდ დეთანხმე მას ყველაფერში. უმეტეს მაშინ, როდესაც თავის ტკივილის მიზეზით ცდილობს თითონ სახლში დარჩეს მოსასვენებლათ თქვენ კი კლუბში გაგისტუმროს.

დეთანხმე, თუ გითხარას, მამაკაცები იმიტომ ხართ გაჩენილნი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქალების „ტულეტისათვის“ ზრუნავდეთო.

თქვენი ცხოვრება ცოლას „ტულეტის“ დაახარჯეთ და თუ არ გეყოთ, ვალები აიღეთ, იქურდეთ, ივერაგეთ, სადმე კასირათ დადქით...

არ სქამოთ, არ სვით და ცოლი ოპერებზე, კონცერტებზე ატარეთ.

თქვენ ქვეითად იარეთ, ცოლი კი ეტლით ასე ირნეთ.

მოიპარეთ, თუ საკუთარი არა გქონდეთ და თქვენი მეუფე ყოველ წელიწადს აგარაკზე გაუშვით.

ფრთხილად იყავით და უსიამოვნების ნაოქები არ დიქარგოთ სახეზე, ოდეს თქვენი ცოლი მუდამ ერთსა და იმავე აფიცერთან სერიანობდეს, არამედ მიიღე იგი ღიმილით, მიესალმე ზრდილობიანად, ნაცნობებს წარუდგინე, ვით შენი ახლობელი და მოკეთე.

არამც და არამც ცოლის მიერ მიღებული წერილი არ წიკითხოთ, ხოლო თუ მიგეუბნება ასეთი რამ, ისეთი სახე მიიღე, თანაც სწორად ნაწერი.

თუ თქვენს საწოდ ოთახში ვინმეს მიერ დავიწყებულ დარჩენილი ქუდი, ან ხელთათმანი იპოვნო, ეცადე იგი ცოლის შემუშრენულად მიმლო სადმე.

ფეხი არ შესდგა მის ოთახში, ვიდრე ხუთმეტრი წუთით ადრე არ ამცნო შესახებ ამისა.


არ გაეკვირდეს, თუ შეილი შენი რომელიმე შენს ნაცნობ ინენერს, ან აფიცერსა ჰგავდეს, არამედ მიაწერე ვე უბრალო შემთხვევას.

მოთმინებით მოისმინე ყველა მისი შენიშვნები, ოჯახური სცენები და ცოლქმარობის მუარველ მოხუც ღმერთს მადლობა შესწირე ისეთი ცოლის ბოძებისათვის, რომელიც მხოლოდ ამაებს გაკმარებს და თავში არ გირტყამს.

ასარულე ყველა მისი სურვილი და მაშინ, მომაკვდავო, შენს ოჯახში დისიდგურებს შშვილობა და მყუდროება.

ამაზე უკეთესი კი, ვფიცავ მამაკაცობის სახელს, ვფიცავ ღღის სინათლეს, ვფიცავ რაც საუკეთესოა ცხოვრებაში, ვფიცავ თქვენს მეუღლეს, იქნება თუ სულაც არ შეირთავთ ცოლს.

გ. ფიჩხაძე.



გაკვეთილი გაგმდაოგისა

ღღის ხეწნით და მუდარით მოგაშორე ოთახში ყურყუტს ჩემი მეგობარი შალვა და წავიყვანე ნათესავის ოჯახში სტუმრად. თავდაპირველათ ძლიერ უარზე იყო.

— ჩემი გუგულისი არ შემოძლიან წამოსვლაში ხომ იცი როგორი მორცხვი ვარ, მეტადრე ქალებთან. ერთს სიტყვას ვერ ვიტყვი სწორათ, თანაც კანკალბ და ყაყჩოსავით ვწითლდები. იმ შენ

ნათესავებთან, მე ვიცი ქალებიც იქნებიან და შევრცხვები კაცო.

— შალვა, როგორ არა გრცხვენინან, რომ მავას ლაპარაკობ ოცდა ხუთი წლის კაცი ზარ და ვის გაუგონია ამ წლოვანობაში მორცხვობა? დენრომანი, შეიდი წლის გოგონას მავონებ.

— რა ვქნა, ასეთი გამაჩინა ბუნებამ.

— შენ იცი რა ვითხრა? წამოდი სიკოსთან, ვაპბედ.

— ვერა, ძმაო!

— წამოდი და მე დავარიგებ, როგორც უნდა მოიქცე.

დიდი ხვეწნის შემდეგ დამთანხმდა.

— მაშ ჩიცვი ტანსაცმელი... კაცო, რას შერები „ვიზიტის“ მაგივრათ შარვლის ტოტებში რათ უყრი ხელს?

ჩემი დანხარებით ჩიცვა ტანთ. გამოველით, ეტლი დავიქირეთ და ვაგვეზავრეთ.

— აი, როგორ უნდა მოიქცე, ჩემო შალიკო; პირველ ყოვლისა, უნდა იფიქრო, რომ შენ სტუმრათ კი არას არამედ შენს საკუთარ სახლში ხარ— ეს კარგად დაიხსომე—ისე მოიქცე, ვითომც შენს ოთახში იყო. შემდეგ ლაპარაკში არ იხმარო რაიმე ძნელი სიტყვები, რადგან შესაძლოა წამობრძიკდე, კისერი მოიტეხო და შერცხვე. თუ რაიმე ლაპარაკი ჩამოვარდეს, გირჩევნია სულ გაჩუმდე, ან „მო“ და „არა“ ს მეტი პირიდან არაფერი ამოუშვა. უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლიან ამინდზე საუბარი. ყური უგდე შენს გარეგნობას: ან ფეხსაცმელი არ გავებადოს, ფოლაკები არ გავებსნას „ჟილეტკაზე“. ყველაფერში წინდახედულათ იყავ. ხომ გავგიგონია ანდაზა: „შეიდეკერ მოზომე და ერთხელ მოსქერიო“.

— ამ სახის სწოთლეს რაღა ვუყო კაცო?

— არა უშავს-რა, ეგონებათ, რომ ჯანსალი კაცი ხარ, სწოთლე ბუნებრივია და არა მორცხვობით წარმოსდგება. ყოველ შემთხვევაში ეცადე სულ გაწოთლებული იყო.

— კარგი, ჩემო გუგული, ყველა შენს დარცხვებს პირნათლად ავასრულებ.

სიკოს ოჯახში წვეთლება უქვე განილებული იყო, არღენსაც მიველით.

— აა! გუგული. გამარჯობა, გამარჯობა!

— ნება მომეკით გავაცნოთ ჩემი მეგობარი შალვა; შალვა თხელიცი.

შალვას პირველი გამბედობა იმაში გამოახატა, რომ ვისაც კი ხელი ჩამოაჩინა ცალსახე და აჩოქა.

ლონიერია შალვა!

ამის შემდეგ თუმცა მას ახლათ გაცნობილები ელაპარაკებოდენ, მაგრამ ახლო მიკარებას და ხელით შეხებას კი ველარავინ ბედადა.

სოსოს მეუღლე გამოეღაპარაქა შალვას.

— ბატონო შალვა!

— ჰამე!

— თქვენ გუგულის მეგობარი ხართ?

— არა!

— როგორ? ხუმრობთ! . სადა მსახურობთ?

— დღეს წვიმიანა დღე იყო!

— მაშ! მაშ! წვიმიანი დღე!.. საკვირველია ასე ადრე რად დავგიდგა შემოდგომა.

— ჰო,

— ძალზე აცივდა... .

— არა!

განცვიფრებული მარიამი უკანასკნელათ დაეკითხა:

— თქვენ, მეონი, უკოლ-შვილო ხართ!..

— დღეს ჩინებული ამინდი იყო!..

მარიამი გაკვირვებული განშორდა მას!..

— შალვა! შალვა! თავისუფლათ დაიქირე თავი! არ შემარცხენიო წაგჭურჩულე მე.

მან მოიკრიბა მთელი მისი გამბედობა, მივარდა ლამაზ სოფიო, ხელი მკლავში გაუყარა და ვააკანა დარბაზის მეორე კუთხისაკენ... სოფიო წაიქცა!.. შეიქნა წივილ-კივილი... .

ნახევარ წუთში დარბაზში დავრჩით მხოლოდ მე და შალვა!

— შალვა, შალვა! ნუ მარცხვენ, ნუ მღუპავ!..

— ხომ ახლა ისე უნდა ვივარძლო თავი, როგორც ჩემს საკუთარ ოთახში? კეთილი.

მან ვიხიდა ფეხსაცმლები, „ვიზიტკა“, „ჟილეტკა“, წამოწვა ტახტზე, ვააბოლა თამბაქო და იწყო გაზეთის კითხვა. ნამეტანი სისიამოვნო იყო ჩემი მდგომარეობა! მე მოვიკრუნჩხე სკამზე და დავხუტე თვლები, რომ არ დამენახა არაფერი.

— შალიკო! შალიკო! რას სჩადი ნუ მარცხვენ!..

— ახალი ამბები,



მარადეა

მაღე გაზნი სიკო. ცივად გამიძახა ცალკე ოთახში.

— გუგული ეგ ყმაწვილი ვინ არის?

— ჩემი მეგობარია. შალვა, ძლიერ მორცხვი და გაუბედავი ყმაწვილია.

— ჰო, ჰო! ეტყობა სიმორცხვე. თუ შეიძლება დიდს წაიყვანე აქედან. შალვა დიდის წვლებით დაეაბრუნე სინამდვილეში, ეტლით სახლში წავედით.

— გუგული, ხომ ეისწავლე გამბედაობა, ვისწავლე?

მე მისი დარდი არ მქონდა და ვფიქრობდი მხოლოდ იმის შესახებ, რომ როდესაც სიკოს გამოვემწვიდობე და უთხარი:

— შალვას სახლამდინ მივყევი და დაებრუნდები მეთქი.

მან მიპასუხა:

— როგორც გენებოს შეგიძლიან სულაც არ მოხვიდე არც დღეს და არც სხვა დროს.

რაღა წყალში ჩავარდე! საღა ვნახო სიკოს ლამაზი ქეთო, პატარა ქეთუნია. მე ხომ მიყვარს იგი?

გუგული.



რაკი პირველი შარადა არ გამოვიდა ურიგო, მინდა „მშაქის მათარახსა“ თითო ყოველთვის ვურიგო. მსურს ერთი დღესაც მივეუძღვნა, თუ გამოვინახე საგანი, ისეთი, რასაც არ ახლდეს თანვე ხუნდი და საყანი.

ოთხი ასოგან შესდგება სიტყვა, რომელიც გვჭირია; ყოველ ნაბიჯზე შეხედებით ისე ბევრი და ხშირია. ცხოვრების მაღალ კიბისა პირველი საფეხურია... სხვებს არჩენს... თვით კი მუდამ ექას სცივა, შუა და სწყურია. მსოფლიოს კიდით კიდემდე ისმის მისი ხმა შერგვინაივი; მოპაველს მოციქულია, აწმყოში მწარეთ შეგინაივი. როს ნახათ, შუა გააყაიეთ, მხოლოდ პირველი გვეჭირია; დოსტაქარისთვის ეს საქმე არც ისე გასაქირია.

ახლა ხმელეთი დავედლოთ; გაეცრილოთ ზღვანება, ვგრძნობ, თქვენც მოგწყინდათ ჩანჩალი მუდამ ექამს მთა და ბარხედა. იქ ცეცხლის გეშა გეწვიოთ, ან ხომალდს იალქნიანსა

„ღვინო არსად იყო, უშხაკები სიკავს გერაკლანო“



ვიჩთხები. სულ აშენებენ და აშენებენ ამ საწყობებს; საქმელი რაღაც რომ არის ნეტავ იმას როდის ჩამოყრიან შიგ?!

და რასაც ვეძებთ, ვიპოვით,
 მით ავიცილებთ ზიანსა.
 როს ქარიშხალი ატყდება,
 ზღვა გრგვინავს ფაფარაყრილი,
 ტალღა ტალღას სცემს, ზვირთი
 ზვირთს,

ჰკენეს გემი, ანბა გახრილი,—
 მაშინ იმედათ ისა აქეთ,
 მას შეჰყურებენ რწმენითა
 და მის გამოგონს, გამკედელს
 აქებენ აღმაფრენითა.

ეს სიტყვაც შუა რომ ვაგსკრათ,
 ბოლო მივაბათ პირველსა,
 თვალის წინ სრული შარადა
 დაეხატება მხილველსა.

მაგრამ სანამდე ახსნიდეს,
 არ მოასვენებს ფეჭრები;

ვერც გრძელი ლექსი გაართობს
 და ვერც დაატკობს რითმები.
 როს ახსნის, აღფრთოვანდება,
 ისე ტკბილი და ნაზია:
 ზემოთაგონების გვირგვინი,
 მსოფლიოს სილამაზეა.
 მას ბევრი შესტრფის, მაგრამ თვით
 მკირედის მწყალობელია:
 მხოლოდ ის უყვარს, ვინც ხალხის
 ხმა-ტკბილი მგალობელია.

ჩახრუხადე.



„პირიმზე“*) ბათუმის სცენაზე



*) შემთხვევით ქ-ნ პირიმზესათვის პირის გამოხატვა დაგვევიწყდა, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ეს ნაკლი ბევრს არაფერს აბრკოლებს, ვინაიდან მსახიობ ქალს „პირიმზეს“ როლში პირი სრულეობით არ დასჭირვებია.





წერილი ნათლიამისადმი

ძვირფასო მათო!

მოგეცითხავ სიყვარულით და ტუჩზე კბენით საერთოთ ყველას და კერძოთ ჩემს ნათლის დედას. შენი წერილი მივიღე; აწერები რავე ხართ შემომითვალეთ.—

ჩვენებს რა უშავთ! საქმელს ვერ შოულობენ თორემ, მოგეცა ღვთის წყალობა, ქამის მადა იმათ ჰქონდეთ. მხოლოდ მე რომ ვარ მოქცეული ისე შენი მტერი და დუშმანი მოიქცეს.—

რალაცა საუბედუროთ, ამას წინეთ, ჩვენ ექიმს ვთხოვე სურამში „სტაიკიანზე“ გამგზავნე, ტანში ძველი ციება მაქვსთქვა.— ექიმიც თანაგრძნობით შეხვდა ჩემს თხოვნას და გამგზავნა.—

ჩავედი თუ არა სურამში, ისეთი ავით შევიქენი, ისეთი, რომ კინალამ შენი ჰირის სანაცვალთ წავედი. თუ არა ჩემს უკუღმართ ბედს, რას უნდა მიეწეროს ეს!? კაცი საექიმოთ წავედი, ვფიქრობდი ცოტას მგოიკეთებ და თუ მეტი არა, ამ ომის გათავებამდე მაინც ვიცოცხლებთქვე და კინალამ სული დავსტოვე იქ—

ერთ დღეს, როდესაც სიციხე 40 გრადუსამდე მქონდა, თავს დამადგა სამკურნალოს ზედამხედველი და გამომიხადა: „მოემზადეთ დღეს უნდა გავწეროთ, თქვენ თურმე იპაურ ექიმს, გზის უფროსის ნება დაუერთველათ გამოუგზავნიხართ და თუ დღესვე არ გავწერე დიდი პასუხისმგებლობა მოგველისო“

შენ საყვარელო მათე, შეიძლება არც იცოდე, რომ ჩვენ რკინის გზელებს სასტიკათ აგვიკრძალეს ნება დაუერთველათ ავით ვახლომა და ექიმობა!?

ეს კი არა, ლაპარაკობენ მალე ნებადაუერთველად სიცივლილიც აგვიკრძალებათო.—

თუ შენის კარგათ ყოფნით ეს გამართლდა, მაშინ ნულა შეგეშინდება.

აბა მაშინ მიყურე რამდენ ხანს ვიცოცხლო

ჩემის ნათლიადის სასიხარულო-სამხიარულოთ და მტრის გულის მოსაკლავათ.

ეს ავითმყოფობა შენთვის მოსახიბუნიაო მითხრა ზედამხედველმა, ჰერის ზეგავლენით ძველი ციება გამოდის ტანინანო და ოფლის შეშრობაც კი არ მაცალა ისე გამომისტუმრა „სტაიკიანდ“

შეიძლება ის მართალი იყოს, შეიძლება მართლაც გამოდიოდეს ციება ტანინანდ, მაგრამ მე ისა ცუდათ ვგრძობ თავს, ისე ცუდათ, რომ ვშიშობ ციებას სულმა არ დაასწროს გამოსვლა.

ერთის მხრით ახი კია ჩემს თავზე რაც მომიგია. რა დროს სასახურის მიტოვება და სურამში საექიმოთ წასვლაა! განა ამას გვიკარნახებს ახლა ჩვენ სამშობლოს ინტერესი?! მით უფრო, საღდაც ტანში, რალაც ციებაა მიზალული, რას ჩივი, მიანებე თავე და იყოს შვი სანამ არ მოსწყინდება!! მაგრამ ასე ვასრულებთ ჩვენ მათე ჩემო ბრძანებას „ნებადაუერთველათ ავით არ ვახდეთო“, ასეთი ჰატრიოტები ვართ ჩვენ და ასე ვთმობთ „ყველასუფრის ომისთვის“

II

არც ვისო კალიშნიკოვის *) საქმეა კარგათ ჯერ იყო და ხომ დაითხოვეს, მერე ისევე მიიღეს. ცოტა ხნის შემდეგ ჩამოაყენეს, მერე აღადგინეს თავის უფლებებში და ახლა კიდევ დაჟინებით ლაპარაკობენ ისე დაითხოვესო:

მერე რისთვის?? რა დანაშაულისთვის ვის?!! ვიცი მათე შენ გაგეცინება და იტყვი: რისთვის დაითხოვედ ვასოს, თუ არა იმისთვის რომ ბილითების ფასებს „ოკრუტლენის“ **) უკეთებდაო.

მერე ეს დანაშაულია? თუ ეს დანაშაულია ჩითვლება მაშინ ხომ მეტი ნაწილი რკ. გზის მოლარეებისა დანაშაულის სკამზე უნდა დაისვას?! მაშინ ხომ სად. ველახის ყოფილი მოლარე ბ. ყობივეი დასახარობია?! მაგრამ უბედურებაც იმაშია, ჩემო მათე, რომ ნემის ჰურდს ნემსის მოპარვისთვის

*) სანდარის სადგურის უფროსის თანამეწყა, სვირის სადგურის უფროსი არავის ეკონოს, თუმცა ბედა ორთავეს ერთხანად წაუღობს. ეს უკანასკნელი დაითხოვეს ამისთვის რაქვია...

**) ბილითი დირეჟული ვინ კახ. თუ „ოკრუტლენის“ გაუკეთებს ან, ასობა სალოგს შეუმტებს, აუღება 70 80 და 90 კ.

კი არ ასამართლებენ, არამედ სრულიად უსაფუძვლოთ აქლემის მოპარვაში სდებენ ბრალს და სჯიან კიდეც!..

ვასო რომ „ოკრუგლენისთვის“ დაეხრიტათ კიდეც, როდესაც ვიცით რომ ის არაა უკოდველი, ღმერთი როგორ გამიწყობოდა და ენას დავისველებდი.

მეგრამ როდესაც მას სრულიად უდანაშაულოთ ქრთამის აღებაში სდებენ ბრალს, როგორ შემძლია გაფუძღვდე!

შენ ქე იცი, მათე ჩემო, რომ ყარსში და სარიყა-მიშში, დღიდან ომის გამოცხადებისა, სამხედრო უწყების ნება დაურთველათ, რკ. გზის სადგურებიდან აღკვეთილია ყოველგვარ საქონლის გაგზავნა.

არ სცოდნია თურმე ეს საწყალ ვასოს და ერთ ნაცნობ ვაჭარს ოციოდე ბოკა ღვინო გაუგზავნა სარაყაშიშში.—ვიმეორებ, უცოდინარობით და არა განზრახ.—რკინის გზის აღმინისტრაციამ კი ეს უბრალო შემთხვევა შეცდომა, ბოროტმოქმედობათ ახსნა და ასე უხეთოთ აწამა და ჯვარზე აცვა ეს საცოდვი კაცი.—

პირადმა მტრებმა და ქვენა აზრებით გამსჭვალულმა ხალხმა დრო იხელთეს და ვინ იცის როგორ ქორებს არ ავრცელებენ:—

„ქრთამათ ნოხი აიღოვო“. მერე, ეს შევდღიანი ნოხი, საჩუქრის სახით მიანიც არ მიეტანოს ღვინის პატრონს!!

შენ და შენი ღმერთი, მათე, სინდისის ქვეშ სთქვი: ნოხი ქრთამათ შეიძლება? რა აქვს ნოხს ღვინოსთან საერთო!?

„ვასომ და მისმა ოჯახობამ სანდარში პროვოკაცია მოაწყვეს და მოსამსახურეები ერთი მეორის წინააღმდეგე აამხდარესო“ მერე ქე მიანიც მომხდარიყოს მზგავსი რამ!! იმათ მხოლოდ თავის მოყვრული *) ვალი მოიხადეს ს.—ვის წინაშე და გააფრთხილეს, თუ როგორ საფრთხეს უშპადებს კ. პ. მის „პატიოსან სახელს“ ხელო თუ ს.—ვმა ნამუსი არ შეუნახა მათ, ყოველივე მზეზე გამოიტანა კ. პ. წინააღმდეგე შური იძია და ერთ მშვენიერ დღეს კი ვასოს ოჯახობითურთ ჯაბუნაკი აწამა საჯაროთ, შეცდომაში შეყვანისთვის, ეს რა ვასოს ბრალია?

*) ბავშვს უნათლავს.

შენ და შენი ღამაში ცოლშვილი, სიმართლე სთქვი შეიძლება კაცმა ამას პროვოკაციის დაარქვა?! რაც შეეხება სად. რიონის უტერონს პ. ამაღლომელის და სამტრდიის უფროს ტელეგრაფისტის ნ. ნინიძის შესახებ გავრცელებულ „ქორებს“ შემდეგი წერილით გაცნობებ.

შენი კ. მწვანეყავიელი.

P. S. მოგვიკვდა ჩემი თავი, კინაღამ არ დამიწყვედა! თუ ღმერთი გწამს, თუ ნათელ მირონზე ხელი არ აგდია იქნება, როგრამე ერთი ორი გირვანჯა შეაქარი გამომიგზავნო, წინეთ სიზმარში მიანიც ესვამდი ჩნის და ახლა სიზმარებმაც აიღეს ხელი.

გავიგე პალტო გვიცდია, ოხ რა ბედნიერი ხარ მათე, რა ბედნიერი.—

კ. მ.



ოპ. ქალეზო, ქალეზო!

ა. პ. ჩხვივისა.

პროვინციალურ გაზეთ „ბლიკის“ რედაქტორი, სერგეი კუზმას-ძე პოჩიტაევი, ძლიერ დაღლილ დაქანცული დაბრურდა რედაქციიდან და სახლში მისვლისთანავე სავარძელში ჩაეშო.

— მადლობა ღმერთს! როგორც იქნა სახლში ვარ... აქ მიანიც მოვისვენებ, საკუთარ ჰერ ქვეშ, ცოლთან ახლო... ჩემი მამიკო-ერთადერთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია ჩემი აზრი გაიგოს და გულწრფელათ თანამიგობოს...

— რათ ხარ დღეს ასე გაფითრებული? — დაეკითხა მას ცოლი მარიამ დენისის ასული.

— ისე, რაღაც კუდ ხასიათზე ვარ... აი მოვედი შენთან და მიხარია, სულიერათ დავისვენებ.

— მიანიც რა მოხდა?

— ისე საზოგადოთ საქმე სამაგლათაა, დღეს კი მიანიც განსაკუთრებით. აი პეტროვი ქალაღს



ნისიათ აღრა იძლევა. მღვიანი გლოთდა... მაგრამ ეს არაფერია, როგორც იქნება მოეწყობა... უნებღერებია აი რაშია, ჩემო მამიკო... ცხივარ ღღეს რედაქციეში და ვკითხულობ ჩემი მოწინავეის კარგე-ქტურას: უეცრათ, ვნახათ, იღება კარი და შემოდის თავადი პროჩუხანცევი, ჩემი ძველი მეგობარი და ამხანაგი. აი ის ხომ იცი, სცენის მოყვარეთა სპეტაკულე მუდამ პირველი საყვარლის როლს რომ თამაშობს და რომელმაც მსახიობ ქაღს, ზრიაკინას ერთი კოცნისთვის თავისი თეთრი ცხენი აჩუქა. „რა ეშმაქმა მოათარია ნეტაი? — გავიღვლე გულში, — ტყვილათ ეს არ მოვიდოდა... აღბათ ზრიაკინასათვის რეკლამის გაკეთება თუ უნდა მეთქი“. დავიწყეთ ლაპარაკი... აქეთურზე, იქითურზე... და ბოლოს აღმოჩნდა, რომ რეკლამისათვის კი არა, თავისი საყუთარი ლექსები მოუტანია დასაბეჭდათ...

— ვიგრძენი, ჩემს გულში ღვთიური ცეცხლი და... ცეცხლი ღვთიური... მინდა ვანიცილო ავტორობის სიტკბობება. ამასთან ამოიღო ჯიბიდან ვარდისფერი, სურნელოვანი ქალაღი და გადმოშალა.

— აი, ეს ლექსებია. ამ ლექსებში მე კოტა არ იყოს სუბექტივისტი ვარ, მაგრამ... თვით ნეკრასოვიც სუბექტივისტი იყო...

— ავიღე მე ეს სუბექტიური ლექსები და დავიწყე კითხვა... მაგრამ რას წაიკითხავ! წარმოუდგენელი სისულელე! კითხულობ და ასე გგონია თვალები გეჭაება, გულის კოვზზე რალაც გაწობა, თითქოს საწისქვილე ქვები გადაგველაბოს... ლექსები ზრიაკინასთვის უძღვნია. მაგრამ, ღმერთს გეფიცებ, ჩემთვის რომ ეძღვნა, პირდაპირ საპართალში მივცემდი. წარმოიდგინე ერთ ლექსში ხუთჯერ აქვს ნახშირი სიტყვა „მუსივე“! ახლა რითომ! ღმერთმა დაგიფაროს, სიტყვა „ცხენს“ არითმებს „ჭერს“!

— არა, თუმცა თქვენ ჩემი კარგი მეგობარი ხართ, მაგრამ ამას მაინც ვერ დაგიბეჭდათ.

— რისთვის?
— იმისთვის რომ... რომ... რედაქციისაგან დამოუკიდებელი მაზგებრის გამო... რომ არ ეთანხმება ჩაენი გზების მიმართულებას და პროგრამას.

გვრძნობდი თუ რა აშკარა სიტუაცე ვამობდი, სახეზე სულ აღმური მომედო, ვაგწითლდი, დავიწყეთ თვალბის სრესა... აბა რას იზან? როგორც ეტყვი, რომ მისი ლექსები არაფრათ არ ვარგა? იმა-

ნაც იგრძნო ჩემი უზრხული მდგომარობა და ინდლორითე ვაიბუხა.

— თქვენ ზრიაკინაზე ხართ გაჯავრებული იმისთვის არ გესურს ჩემი ლექსების დაბეჭდა... მეს მესმის... მესმის მოწყალეო ხელმოწევი!

აქ კიდევ პირფერობა შემომწამა, მიწოდა ფილისტერი კლერკალი და კიდევ რალაც. მთელს ორი საათი სახარება მიკითხა ბოლოს და ბოლოს ჩემი პიროვნების წინამღღდე ინტრიგის მოწყობაც აღმითქვა და... დაუმშვიდობებლათ წავიდა... ის ასეა საქმე ჩემო კარგო! 4 დეკემბერს, ბარბალოსას, ზრიაკინას ანგელოზის ღღეა და ლექსებიც უსათუოდ ამ ღღისათვის უნდოდა გამოსულიყო... დანა ყელზე მომბაჯინა, გინდა თუ არა დამიბეჭდეო. და დაბეჭდეა მათი შეუძლებელია. ვაზეთს მთელ რუსეთში მოეკრება თავი. არ დაბეჭდე და კიდევ უარესი—პროჩუხანცევი რალაც ინტრიგას მოგიწყობს და ტყვილა უბრალოთ დილუბები. მოდი ახლა და გამოაძვრინე თავი ასეთ ქანდრაკულ მდგომარეობიდან.

— რა ლექსები! რაზეა? — დავიკითხა მარიამი.
— არაფერზე... სისულელეზე... თუ გინდა წავიკითხავ.

აი როგორ იწყება:
სივარის კომლით გარემოცული ჩემს ოცნებაში დაფრიალობდი, მოქროლი ჩემსკენ აღურ ღმილით, სიყვარულისა ისრებს მასობდი...

მერე კი უეცრად ასე გადადის:
ოჰ მამატევე, ჩემო სპეტაკო ანგელოზო, ჩემი სიკოცლის თანამგზავრო, იღევე ნაზო, რომ მე ვივიწყებ სიყვარულს და ვაგვრბივარ იქითსად დაუღია სიკვიღის ხახა... ოჰ, კვდები შიშით!

და სხვა... სისულელეა!

— მერე რა? ეს მშვენიერი ლექსები! — ხელეზის ტაკანით წარმოსთქვა მამიკომ. — პირიქით საუცხოვოა! აბა ერთი მითხარი რით არ არის ლექსი? არა შენ ტყვილათ მიზნობ სერგო! „კომლით გარემოცული“, „აღურ ღმილი“, რა მშვენიერი! მაშ შენ არაფერი გესმის! არა, შენ სწორეთ, რომ არ გესმის სერგო!

— მე კი არა შენ თვითონ არ გესმის!
— არა, უკაცრავად... პროზა მართალია არ



მესმის, მაგრამ ლექსებს შესანიშნავათ ვარჩევ! თავადს შეუღარებლათ შეუთხოვავს, მშვენიერათ! შენ ის გძულს და მისთვის არ გინდა დაუბეჭდო.

რედაქტორმა ამოიხზრა და თითებით ბარაბანი დაუკრა ჯერ სტოლზე და შემდეგ საკუთარ შუბლზე.

— იბ მკლდენისი ზიზლის გამოშატეველი ლიბილით ჩილიაბარაკა მან.

აიღო თავისი ცილინდრი, თავი მწარეთ გააქანა და სახლიდან წავიდა.

„მივმეზავებები ქვეყნის სამებრათ, სადაც რომ გრძობისა შეურაცყოფილს, ეწება ბინა, თავშესაფარი... ოჰ, ქალღებო, ქალღებო! თუმცა რა, ყველა დედაკაცო ერთნაირია!“

— ფიქრობდა ის და მიაბიჯებდა რესტორან „ლონდონისკენ“.

რომ ერთი რიგიანათ გადაეკრა...

პოლიბენტი



ზონი, კუხი, გუგი, ჯიხანიში და სხვა

(ყოფილი პროკურორები, დღეს კი საზოგადო მოღვაწენი: ივანე, კოწია, და მასიკო).

ერთი წელია, პროკურორი ივანე გორდი, გზა ჯვარადინზე: მარცხნივ, მარჯვნივ, წინ და უკანა, გაპყვირის ყველგან, მოუწოდებს ხალხს „მოდი

აღმოვაჩინე ბოროტების მე ქუჭრუტანა!“ მას მხარს უმშენებს ქიათურის ენობლი ქურთი, ქრთამის ამღები, გაიძვერა, მზვავსივე ბრუნდი, რომელს გაუგებს და აუკრეს გუდა ნაბადი, უთხრებს: „მოგეშორდი, გეყო აწი ჩვენზე ნაფარდი! ამ გმირის სახელს არ დასტოვებს.“ მწამს, ისტორია, სანამ იკოცხლებს „მეგობრათა“ თუნდ ერთი წვერი, დღეს აგრე დადის გეგონება სენატორია, მასხვდა ითქვა ამას წინათ „მათარხნი“ ბეერი.

გვარი რათ გინდათ, სახელი გაქვთაა შექვამ, ჩვენში, ხომ ხედავთ, დაფის გვირგვინს თავზე აყრიან.

ქურთის ბრალდებით საზოგადო მოღვაწეთ სჯიან. მისამე კიდევ მათ ამშვენებს ჩვენს მასიკო, რომელიც ღღემდის არც ვიცოდით თუ სადმე იყო. შაბიამანის „იმას ქნაში“, რომ დაიჭირეს და თავის ღროზე მას „მათარხნი“ ვგონებ უჭირეს.

ბეერი ფვარეს მეგობრებმა ოლარის კალთა, რომ დაეშალათ შაბიამანით აესილი ჩანთა, მაგრამ ვერ შესძლეს და მასიკო ისეთათ წახდა, რომ ქვაფენილზე საცოდავათ გლახ გაიწვლართა...

ქმარა ეგ ორი ბოლონდელნი თუ რა შეილია ყველა ჩვენგანმა ვით, ახლა აღარ გავჩირია, ოლონდ ჰირველი ჯერ უცნობი და თან ცნობილი ამ ორი ქურთის განუყრელი კარგი ძმობილი, უნდა გავაცნოთ ისე, როგორც ეშმაკთ წესია, დე, დინახონ რა უმკიათ, რა უთესიათ!

ივანეს იცნობს არა ერთი ორი სოფელი, თითქმის, ვით ჯადო, ეს გმირია ყველგან მყოფელი. თუ ანგარიში სადმე კია შესასწორები, იქ უცილობლია საჭიროა ვანოს ტორები.

და ბეერს ადგილას იმისათვის, რომ გადხაროს ერთი აცრემლოს და მეორე კი გახაროს, მის აულა, აულია ქანქართა კეცა,

და თუ გამღები ამ ქანქარის ვანოს ემეცა ის მეორესგან არ დაკარგავს აიღებს მზვავსათ, რა ენალელება, ერთი „შრომა“ გასცეს ორ ფასათ! მოგვსენებათ გამგეობა სოფლის ბანკისა, ხშირათ რა ცოდნით მფურტლავია შიგნით დაეთრისა

და აი, მთელი წელიწადი აღმა და დაღმა, დავთარში წერა, ხან უკულმა და ხანაც წაღმა იწვევს არევას მთელი ბანკის წარმოებისას და აგი უნდა მოდარაჯე ვანიჩკას ქისას.

მეის იქ გაჩნდება ელევასეთი და „წაშხარა საქმეს“ ისე, „დააწყობს“ ისე, ისე ვით წინდის ჩხირზე და ნურვის გიკვირთ, რომ ხსენება ასეთი პირის მუდამ, დღით, ღამით სოფელეთ ედოს სათქმელთ პირზე.

გვახსოვს ფარდული, აწ ადგილი მიწის პირიდან და ანგარიში დაკვანძული ვანიჩკას მიერ, რომელსაც დახსნით ვერ დახსნიდა მაკედონელი, თვით კმაყოფილი გაპქიოდა მრავალ ქამირის!



გვახსოვს ფარდულის აღსასრულის დღეები მწარე, როს უკანასკნელ წაბლის სარსა ტორგში ჰყიდიდენ და აღელვებით დადიოდა ვანიჩკა გარე, კოლასან ერთათ საიღუმლოთ რაღაცას თვლიდენ. როდესაც ფარდულს აღსასრული ტორგით აუგეს, და ანაღები აქ ფულეები სოფლის ბანკისა ბატონ ივანემ სამათ გაყო, ურთ-ერთს ჩაუღდეს გუბის და კუხის—ვით კუთენილი მან მიითვისა...

გავიდა ხანი და გაუგეს ავი ივანეს ის ფიცსა აღღეს: „ოღონთ ჩუმათ გადავიხდით ნახევარს მოგცემთ, თუმც არა აქვს, მაგრამ ივალეგს „მე მაგისათვის ნამუსს ხომ არ გადავიხდით, „ნახევარი კი, რადგან შეცდა ამაზე სული, მევე დამრჩება, ეს არ არის მე მგონი ცუდი, და თუ დამიწყეთ თქვენ ამაზე სასივარით, ჩემგან ერთს კაპიკს ვერ იხილავს თქვენი თვლიო“. რა ჰქნას გლეხმა „ყოვლით შემძლე“ ივანეს წინა უძღურებია, რომ ნაცვლი იყარონ თინა, და შოლათ დაკარგვას ამ ფულეების ის ამჯობინა, რომ ნახევარი მათ წაღლოთ თავთავის შინა მაგრამ დახე ფანდს, რომ ამაზეც დრო დაუნეშნა, დლიდან ტორგისა მეოთხე თვეს გამოუნიშნა და დაარწუნა ფულს მიიღებთ ამ დღეს თქვენაო, „მანამ კი ტყუილათ ვთხოვ არ არ დასძრათ ჩემთან ენაო.

თურმე ნუ იტყვით, ის დღე არის უკანასკნელი, რომ იმ დღის შემდგომ ნება არ აქვთ საჩივარისა და დანიშნულ დღეს გამოწვდილი ფულისთვის ხელი გახდა მიმღები ვით მთხოვარა, მხოლოთ ვარისა. საჩივარია დღეს მკითხველო, მაგრამ რას უზავ, რუხის კანონით დრო დაჰკარგეს აწ გვიან არი, მაგრამ ამ საცდელს მაინც ვწინაუვ ერთს მაგრა ვღუზავ, რადგან სიმართლე, სამართალი აღარსად არი!

სათანა.

S. P. მიუხედავით იმისა რომა ვანოს ბევრი აქვს ასეთი შრომა, მაინც არ იქნა არ აცდა წყრომა, კვალ და კვალ დასდევს ესდგეთა მტრობა. მან ბევრჯერ სცადა ყუთი დაედგა და ამით კაცათ თავი დაეჭრა, მაგრამ არ იქნა, არ სწყალობს კენჭი, ბევრჯერ მოსტუხეს კისრულით ბევი.

თუნდ, სხვათა შორის, საღმრთოტო არჩევნების დროს დაიდგა ყუთი. მრავლათ ვგონა თავისი რაზმი კენჭებიც. ჰქონდა „ხუთიოდ ფუთი, მაგრამ სხვილები გამოდგა ყველა აღარ ჩავიდა არც ერთი ყუთში და დათვლის შემდგომ ჩვენს ვანოს არც ევსტის „უკარბოკა“ მელურსა კულში. ნუ ძრახავთ ახლა, რომ ავრე ცხარობს ვით დანაკმენი ფუტკრისგან დათვი, იგ ისეთივე ბოროტებაა ცუცხლს; რომ დაასხათ საქრობათ ნავით.

ს-ნა.



დ ე ვ ე შ ე ბ ი

ბაშური. შესდგა დრამატული საზოგადოების კრება, რომელზედაც გამოირკვა, რომ წარსულ ზაფხულში სხვათა შორის წარმოუდგენიათ საუკეთესო პიესები მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეპერტუარისა. „ალეკატი მელაძე“—15 ჯერ, „პეუსისა შიქის“ *) 10 ჯერ, „დული“ 8 ჯერ და „ორი—მშვიდი“—4 ჯერ. თუ რამ გამოიწვიოთ ის გარემოება, რომ „ორი მშვიდი“ მხოლოდ ოთხჯერ იქნა წარმოდგენილი, საბოლოოთ გამოუტყვეველი დარჩა. ფიქრობენ ეს იტრიგანობამ წარმოშვაო.

ქ დანე. ვახისნა ტალახით წამლობის სეზონი დაბის ჰირისუფალთა შემოწმებით, ამ სეზონში საუკეთესო ტალახი დადგება.

სუმბათოვო. (ახალ-დაბა) დღეს გააცილეს ახალ დაბის მცხოვრებლებმა უკანასკნელი მოაგარაკე. დიდი მადლობა გადაუხადა მოაგარაკემ მცხოვრებთ, რადგან შარავლი ზედ შეანარჩუნეს, პიჯაკს და ზე მორე იმისა სამოსელს თქვენი ქიირი წაუღია.

მუგული ვარდენიშვილი.

*) „პიერება“ აღბათ მიძიმე არა ყოფილა.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის
 ეშმაკ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

შურნალის სამხატვრო და სალიბრატორო მხარის განაგებს ეშმაკი,
 ხოლო გამომცემის სამსახურს ასრულებს „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“

ქურნალის ფასი: 12 თვით 6 მ. | 6 თვით 3 მ. 50 კ. | 3 თვით 1 მ. 80 კ. | 1 თვით 60 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარალები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ აღრესით:

თიფლისი ^{*)}

С. Р. Таварткиладзе,
 Ольгинская 6,
 Почтовый ящик № 96.
 (ეშმაკის მათრახს სთვით).



*) ეს აღვლილი კონფერტზე მარკისთვის არის დანიშნული და გულმეფიწყებს მოვარგონებო, რომ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის.



ს ა ე შ მ ა კ ო გ ა ნ ც ხ ა ღ ე ჯ ა

ინანებს

ვინც დააკლდება ქალაქ სოხუმში განსრახულ

ლ ე ქ ც ო ე ბ ს.

ნ ა ი კ ი თ ხ ა ვ ს :

I. პროფ. ჩხეიძე	1) როგორ უნდა შესდგეს ახალი შტატი... (აფთიაქის მსახურთა). 2) ახალი ლექსთა-წყობა მოწინააღმდეგეთა სალანძღავთ.
II. გ-ნი კელიძე	1) როგორ უნდა დაკმაყოფილონ ვაქრებმა ნოქართა მოთხოვნილებანი. 2) უებარი საშუალება გაფიქვთა წინააღმდეგ (შტრეიკბრებრობა).
III. გ-ნი პაჭარავა	1) როგორ უნდა მოახდინო ვაქრობის „ლიკვიდაცია“, რომ აინაზლაურთა „პოგრომით“ გამოწვეული ზარალი.
IV. გ-ნი დოგრიანიძე	1) მნიშვნელობა ცოცხალი ქათმის წონით გაყიდვისა.
V. პრაქოვანიუშვილი და გვალია	1) რა სარგებლობა მოაქვს სევაქროფირმის სახელწოდების შეცვლას.
VI. გ-ნი გვალია	1) (პრ. ჩხეიძის სუფლიორობით) ვინ მოაწყო „პოგრომი“ ქ. სოხუმში.

შესგვლა უფასოა, გამოსვლა არ ვიცით.

-ძე.